

წარდგენილია სამეთვალყურეო  
საბჭოს მიერ ოქმი #1; 17/03/2016 წელი  
დამტკიცებულია მარნეულის  
სამედიცინო კოლეჯის დირექტორის  
ბრძანებით №7 18.03.2016 წელი  
შევიდა ცვლილება დირექტორის  
ბრძანებით № 26. 08. 06. 2017  
ბრძანებით № 66. 29. 09. 2017

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“

ბანკის მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის ხელმძღვანელი --- ნათია ბერუაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია nberua@mail.ru 591994790

მარნეული 2016 წელი

I. სახელწოდება: ბანკის მოლარე-ოპერატორი

II. სარეგისტრაციო ნომერი: 04105-პ

III. პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მესამე

IV. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ბანკის მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

V. საკანონმდებლო ბაზა:

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- ბანკის მოლარე-ოპერატორის პროფესიული სტანდარტი

VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

VII. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს მოლარედ, ან მოლარე-ოპერატორად კომერციულ ბანკებში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში და სხვა დაწესებულებებში, სადაც წარმოებს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციები.

VIII. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია სტუდენტებს ჩამოუყალიბოს ცოდნა შრომის ბაზარზე ფართოდ წარმოდგენილი პროფესიის — მოლარე-ოპერატორის შესახებ და განუვითაროს ის აუცილებელი კომპეტენციები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს მას დასაქმდეს მოლარედ კომერციულ ბანკებში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში და სხვა დაწესებულებებში, სადაც წარმოებს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციები.

IX. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ზეპირი კომუნიკაციის სახელმწიფო ენაზე ყოველდღიურ ყოფით საკითხებზე (A2);
- სახელმწიფო ენაზე მიღებული ინფორმაციის წაკითხვა-განხილვა;
- სახელმწიფო ენაზე წერილობითი კომუნიკაციის წარმართვა;
- სახელმწიფო ენის პრაქტიკული გამოყენება პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კომუნიკაციისას.
- ანგარიშის გახსნა/დახურვა
- ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნების ამოცნობა
- სწრაფი ფულადი გზავნილების განხორციელება
- დეპოზიტების მართვა
- სესხების მართვა
- დისტანციური მომსახურება
- სალაროს გახსნა-დახურვა
- ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების წარმოება
- გაყიდვების ტექნიკის გამოყენება
- სწრაფი ფულადი გზავნილები

- კონფლიქტური სიტუაციების მართვა
- ხელისუფლების შტოთა იდენტიფიცირება
- პასიური და აქტიური საარჩევნო უფლების იდენტიფიცირება
- სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების საზღვრის დადგენა
- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- განათლების მიღების უფლების რეალიზაციის საშუალებების დადგენა
- საავტორო უფლების იდენტიფიცირება

**X. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**

- მოცულობა: 101 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 21 სასწავლო თვე (82 კვირა)

**XI. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:**

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
კომუნიკაცია	2	გაცნობითი პრაქტიკა-ბანკის მოლარე-ოპერატორი	2	სააღრიცხვო მონაცემთა ბაზები	7
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა-ბანკის მოლარე-ოპერატორი	8	საგადასახადო ვალდებულებები	7
საინფორმაციო ტექნოლოგიები	2	პრაქტიკული პროექტი-ბანკის მოლარე-ოპერატორი	5	მომხმარებლის მომსახურება სავაჭრო ობიექტებში	2
მეწარმეობა	2	ნაღდი ანგარიშსწორების ოპერაციები	4	ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის ინკასაცია	4
პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1	უნაღდა ანგარიშსწორების სოპერაციები	5		
უცხოური ენა (ინგლისური)	4	გაყიდვების ტექნიკა	1		
ქართული ენა A2	15	სწრაფი ფულადი გზავნილები	2		
სამოქალაქო განათლება	2	დეპოზიტების მართვა	3.5		
		სესხების მართვა	2		

		ანგარიშის გახსნა/დახურვა	5		
		ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები	3		
		დისტანციური საბანკო მომსახურებები	2.5		
		კონფლიქტურისიტუაციე ბისმართვა	3		
		სერვისპლიუსი	2		
		სალაროს გახსნა/ დახურვა	3		
<b>სულ:</b>	<b>30</b>	<b>სულ:</b>	<b>51</b>	<b>სულ:</b>	<b>20</b>

## XII. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
  4. ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
  5. ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
6. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
7. იმ მოდულში, რომელიც წარმოადგენს შემდგომი მოდულების წინაპირობას, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება 2 კვირის ვადაში.
8. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.
9. შეფასების მიმართულებები და შეფასების ალტერნატიული ინსტრუმენტების ჩამონათვალი გაწერილია შესაბამის მოდულში.
10. ყველა სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით.
11. შეფასების ინსტრუმენტების და მტკიცებულების კონკრეტულ ფორმას მოდულის განამახორციელებელი მასწავლებელი შეიმუშავებს მოდულის განხორციელების პროცესში.

## XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულების 20 კრედიტი.

დანართი A: სასწავლო გეგმა

დანართი B: პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი